დამტკიცებულია „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორის მიერ

დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭებისა და ანაზღაურების მიცემის

წესი და პირობები

თბილისი 2025

წინამდებარე დებულების შემუშავების საფუძველია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის (დტსუ) რექტორის 2025 წლის 31 ივლისის N 54 ბრძანება „ემერიტუსის“ პოზიციის შემოღებაზე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისიწნებული პირობების სრული დაცვით. წარმატების ამ ნიშანზე წარდგენის, მინიჭების და ანაზღაურების წესებსა და პირობებს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

1. ემერიტუსის წოდება შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელსაც თავისი სასწავლო - სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობით განსაკუთრებული დამსახურება აქვს უნივერსიტეტის წინაშე.
2. ემერიტუსის წოდება მიენიჭება პირს აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლისთანავე. ამ ვადის გასვლამდე ემერიტუსის წოდების მინიჭება იწვევს პირის გათავისუფლებას დაკავებული აკადემიური თანამდებობიდან.
3. ემერიტუსის წოდება შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელსაც:

ა) ემერიტუსის წოდების მისანიჭებლად განაცხადის გაკეთების მომენტისათვის შეუსრულდა 65 წელი ან მეტი და თავისი სასწავლო – სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობით განსაკუთრებული დამსახურება აქვს უნივერსიტეტის წინაშე.

ბ) ორჯერ მაინც ეკავა/უკავია უნივერსიტეტის პროფესორის პროფესორის თანამდებობა.

გ) აქვს დტსუ-ში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 25 წლის გამოცდილება.

4. უნივერსიტეტის 65 წლის ან მეტი ასაკის პროფესორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება და გააკეთოს განაცხადი ემერიტუსის წოდების მისანიჭებლად, ან უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების შესახებ განაცხადის გაკეთების შემდგომ პირი ვერ დაიკავებს პროფესორის თანამდებობას, იგი კარგავს ემერიტუსის წოდების მინიჭებაზე განაცხადის გაკეთების უფლებას.
5. ემერიტუსის წოდებას პირს ანიჭებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის 2/3 –ით.
6. დაუშვებელია პირის მიერ გამოვლენილი ნების შეცვლა აკადემიური საბჭოს მიერ ემერიტუსის წოდების მინიჭების შემდგომ, მიუხედავად ემერიტუსის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტისა.
7. ემერიტუსის წოდების მქონე პირი უფლებამოსილია:
   მონაწილეობდეს დტსუ-ის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სამედიცინო საქმიანობაში; აგრეთვე, განახორციელოს ადმინისტრაციული საქმიანობა,

შეასრულოს სხვა ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი სამუშაო აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე;

8. ემერიტუსის წოდების მქონე პირს, უნივერსიტეტის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების შემთხვევაში, ჩამოერთმევა ემერიტუსის წოდება და შეუწყდება შესაბამისი ანაზღაურება.
9. ემერიტუსის წოდების მქონე პირს, რომელიც არღვევს წინამდებარე წესით განსაზღვრულ პირობებს ჩამოერთმევათ ემერიტუსის წოდება, შეუწყდებათ შესაბამისი ანაზღაურება „წოდების“ მიღებაზე შემდეგი განაცხადის წარდგენის უფლების გარეშე.
10. ემერიტუსის წოდების მქონე პირის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება ემერიტუსის წოდების მინიჭების დროს პროფესორის (ან შესაბამისად ასოცირებული პროფესორის) მინიმალური ხელფასის 90%-ის ოდენობით.
11. წინამდებარე დებულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.